COMUS

MAY 2016 / GE

Newsletter

Community-led Urban Strategies in Historic Towns (COMUS)

არსებული მდგომარეობა

ჭიათურა (GE)
საბაზო გეგმა (სრულდება მაისის ბოლოს)

დუშეთი (GE)
საბაზო გეგმა (სრულდება მაისის ბოლოს)

გორისი (AM)
საბაზო გეგმა (სრულდება მაისის ბოლოს)

გიუმრი (AM)
საბაზო გეგმა (სრულდება მაისის ბოლოს)

ლუცკი (UA)
საბაზო გეგმა (სრულდება მაისის ბოლოს)

მსტისლავი (BY)
წინასწარი ტექნიკური შეფასება საბაზო გეგმა (სრულდება მაისის ბოლოს)

პრილიუკი (UA)
საბაზო გეგმა (სრულდება მაისის ბოლოს)

სოროკა (MD)
საბაზო გეგმა (სრულდება მაისის ბოლოს)

ჟოვკვა (UA)
საბაზო გეგმა (სრულდება მაისის ბოლოს)

მთავარი თემები

2016 წლის იანვარში ევროკომისიამ უმასპინძლა COMUS-ის საკოორდინაციო კომიტეტის მე-2 შეხვედრას. შეხვედრას ესწრებოდნენ პროექტის ეროვნული კოორდინატორები სომხეთიდან, საქართველოდან, მოლდოვიდან და უკრაინიდან ასევე COMUS-ის წამყვანი ექსპერტი და წარმომადგენლები ევროკავშირის რეგიონული პროგრამიდან EU Regional Programme Neighbourhood East, ევროპის საბჭოდან, მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქების ორგანიზაციიდან (Organization of World Heritage Cities) და ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურისა და კრეატიულობის პროგრამიდან (EU-Eastern Partnership Culture and Creativity Programme). შეხვედრა ეხებოდა პროექტის შუალედური ანგარიშის განხილვას, ეროვნულ დონეებზე სიტუაციის შეფასებას და სამოქმედო გეგმებს დაგეგმვისა და საპროექტო ფაზებისთვის.

ევროპის საბჭოში მოხდა საკადრო ცვლილებები COMUS-ის მართვის ჯგუფში. ბატონი ჰაკან შირერ დემირი შეასრულებს პროექტის ადმინისტრატორის ფუნქციებს, რომელსაც საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში დაეხმარება ბატონი ანდრეა როდრიგეს პერესი და ხოლო ფინანსურ და ლოჯისტიკურ საკითხებში ქალბატონი ირმა ჯანკოვიჩ-არსლანი.

ამ ეტაპზე, COMUS-ის მონაწილე ყველა ქვეყანამ დააფუძნა პროექტის მართვის მექანიზმები. რამოდენიმე მისია იქნა განხორციელებული: COMUS-ის წამყვანი ექსპერტი, ბატონი ფილიპ შტეინი ეწვია სომხეთს 2016 წლის მარტში მოთხოვნისამებრ ხოლო ევროპის საბჭოს სამდივნოს წარმომადგენლები ეწვივნენ ბელარუსს აპრილში.

მაისში, კიშინიოვში (მოლდოვა) გაიმართა რეგიონული სამუშაო შეხვედრა, რომელსაც დაესწრო კომუსის 9 საპილოტე ქალაქის 32 წარმომადგენელი. თვითეულმა მონაწილემ გამოიჩინა აქტიურობა და ჩართულობა პროცესში. გარდა დაგეგმვის ფაზაში განხორციელებული ქმედებების მიმმოხილვისა და საპროექტო ფაზის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა, შეხვედრის ფარგლებში გაიმართა ნაყოფიერი დისკუსიები ქალაქების წარმომადგენლებს შორის, რაც ხელს უწყობს COMUS-ის ფარგლებში პროფესიონალთა ქსელის ჩამოყალიბებას და გაძლიერებას.

მომავალში ძალისხმევა გაძლიერდება რათა უზრუნველყოფილ იქნას COMUS-ის ფარგლებში განხორციელებული ქმედებების მეტი ხილვადობა. საკომუნიკაციო ღონისძიებები ითვალისწინებს ახალი ამბების მუდმივ განახლებას და გაცვლას, საპილოტე ქალაქების საიმიჯო ე.წ. ღია ბარათების გავრცელებას, მოკლე ფილმების შექმნას, ბროშურების მომზადება-ბეჭდვას და ადგილობრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიების წარმოებას. ინფორმაცია სისტემატურად აიტვირთება პროექტის ვებგვერდზე. საპილოტე ქალაქებს ვთხოვთ რეგულარულად შეამოწმოს პროექტის ვებგვერდი და მოგვაწოდონ ინფორმაცია პროექტის მსვლელობის შესახებ ვებგვერდის მუდმივად განსაახლებლად.

დაგეგმვის ფაზა დასრულდება მაისის დასასრულსმ რასაც მოჰყვება საპროექტო ფაზა მ.წ. ივნისიდან დეკემბრამდე. აღნიშნულთან დაკავშირებით სახელმძღვანელო უკვე დაეგზავნა ეროვნულ კოორდინატორებს.

შემდეგი ნაბიჯები

მესამე რეგიონული სამუშაო შეხვედრა ურბანული დაგეგმვის თემაზე იგეგმება ივნისის ბოლოს.

პირველი სასწავლო ვიზიტი გერმანიაში იგეგმება ივლისის ბოლოს კულტურული მემკვიდრეობის დაგეგმვაში თემების მონაწილეობის შესახებ.

საპროექტო ფაზის სამოქმედო.

www.coe.int/comus
e-mail: comus@coe.int